# ხელშეკრულება №61 / 33

## არქიტექტურულ – საინჟინრო სამუშაოების შესრულებაზე

ქ. თბილისი 2010 წლის 1 დეკემბერი

ქ. თბილისის №62 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – თ. მალაზონია, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, ერთის მხრივ და არქიტექტურულ – საინჟინრო ფირმა „კამარა", შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, ფირმის დირექტორის – ნათელა გელაშვილის სახით მეორეს მხრივ, ურთიერთშორის ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

### II. ხელშეკრულების საგანი

1. შემსრულებელი იღებს თავის თავზე ქ. თბილისის №62 საჯარო სკოლის რეკონსტრუქციის პროექტის (სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ადაპტაციასთან დაკავშირებით) მომზადებას.
2. შემსრულებელი ვალდებულია საპროექტო სამუშაოები შეასრულოს შემდეგ ვადებში: 2010 წლის 1 დეკემბრიდან– 2010 წლის 6 დეკემბრამდე .
3 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოების ღირებულება.

ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების საერთო ღირებულებაა – ხუთასოთხმოცდაათი (590.0) ლარი. (500.0 ლარი - საპროექტო სამუშაოს ღირებულება; 90.0 ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადი).

### II. სამუშაოთა მიღება-ჩაბარება

4. შესრულებული სამუშაოების ჩაბარება და მიღება ფორმდება მხარეების მიერ ხელმოწერილი სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტით.
5. დაპროექტების პროცესში ყველა დამატებით სამუშაოზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დამკვეთი აფორმებს შემსრულებელთან ახალ ხელშეკრულებას.
6. მიღება-ჩაბარების აქტი ითვლება უდაო დოკუმენტად სრული ფინანსური ანგარიშსწორებისათვის.

## III ანგარიშსწორების პირობები

1. ხელშეკრულების ხელის მოწერასთან ერთად დამკვეთი შემსრულებელს უხდის ავანსის სახით ხელშეკრულების თანხის 45% -ს.
2 ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება ინკასოს ან ნაღდი ფულის ანგარიშსწორების წესით.

## IV. შესრულების გარანტია

1. შესრულებულ სამუშაოზე ნაწილობრივ ან მთლიანი უარის თქმის შემთხვევაში, დამკვეთი შემსრულებელს უხდის ამ სამუშაოს ღირებულებას ზედნადები ხარჯებისა და მოგების ჩათვლით, რის შემდეგაც თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან.

## V. მხარეთა იურიდიული მისამართები

დამკვეთის მისამართი – ქ.თბილისი, შარტავას ქ. №

შემსრულებლის მისამართი – ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ-ნი, I კვ. კორპ.- 4, ბ.-11
ბანკის დასახელება -„საქართველოს ბანკი"
ანგარიშსწორების ანგარიში № 123220400

ბ. ა

შემსრულებელი:

ნ. გელაშვილი.

დამკვეთი:

თ. მალაზონია